საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
SHOTA MESKHIA STATE TEACHING UNIVERSITY OF ZUGDIDI

№01-01/41 „30" დეკემბერი 2016 წ.

ბრძანება

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარებისა და ანალიზის უზრუნველსაყოფად მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, სასწავლო უნივერსიტეტის „შეფასების მეთოდოლოგიისა" და აკადემიური საბჭოს 2016 წლის 26 დეკემბრის № 43 დადგენილების საფუძველზე

**ვბრძანებ**

1. შეიქმნას მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარებისა და ანალიზის უზრუნველსაყოფად შემდეგი შემადგენლობით:

ა) ბელა მოსია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (ჯგუფის ხელმძღვანელი).

ბ) ქეთევან ლომაია - პროგრამების კოორდინატორი.

გ) თამრიკო ლუკავა - კარიერის განვითარების ცენტრის უფროსი.

დ) სოფიო კვარაცხელია უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის უფროსი.

2. დაევალოს თამრიკო ლუკავას (კარიერის განვითარების ცენტრის უფროსი) და სოფიო კვარაცხელიას (უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის უფროსი) კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარება (შეფასებების შეგროვება) შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შემუშავებული კითხვარების მიხედვით.
3. დაევალოს ბელა მოსიას (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი), ქეთევან ლომაიას (პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი) გამოკითხვის შედეგების ანალიზი და

ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. 14, 2100; ტელ: 0 415 25 62 17, 0 415 25 62 14; მობ: 577 41 90 41; ფაქსი: 0 415 25 62 17
14 Janashia str. Zugdidi, Georgia 2100; Tel: 0 415 25 62 17, 0 415 25 62 14; Mob: 577 41 90 41; Fax: 0 415 25 62 17

რეკომენდაციების მომზადება, კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება აკადემიური საბჭოსთვის წარსადგენად.

4. დაევალოს კანცელარიის უფროსს (ე. ჭანიას), ბრძანება გადასცეს დაინტერესებულ პირებს.
5. ბძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ზაალ ქორთუას (ადმინისტრაციის ხელმძღვანელს).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე ქ.თბილისი, უზნაძის ქ.№52

თეონა ხუფენია

რექტორი